საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-137/ნ

2019 წლის 31 დეკემბერი

ქ. თბილისი

„სამედიცინო დაწესებულებების კლასიფიკაციის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 4 მარტის №01-9/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„სამედიცინო დაწესებულებების კლასიფიკაციის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 4 მარტის №01-9/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 07/03/2016, 470230000.22.035.016378) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული დანართის (სამედიცინო დაწესებულებების კლასიფიკაცია):

1. **მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტის სქოლიო „2“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2 ბავშვთა გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სერვისის მიწოდების უფლება, ასევე, აქვთ გადაუდებელი მედიცინის სპეციალისტებს (2021 წლამდე), ამასთან, აღნიშნული სერვისის მიწოდება შესაძლებელია სხვა ექიმ-სპეციალისტის მიერ, კომპეტენციის შესაბამისად (2021 წლამდე).“.

2. **№2 დანართის (გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მოვლის დონეები) „ბ“ ქვეპუნქტის სქოლიო „8“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„8 „გადაუდებელი მედიცინის“ სპეციალისტი, ასევე, სხვა ექიმ-სპეციალისტი, კომპეტენციის შესაბამისად (2021 წლამდე).“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს 2020 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი — **ეკატერინე ტიკარაძე**